საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსელიანი გიორგი ნიკოლოზის ძე

იოსელიანი გიორგი ნიკოლოზის ძე (1847, წყალტუბო, – 1919, ხაშური), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი.

დაამთავრა მოსკოვის სას. აკადემია (1870). მუშაობდა თბილ. სას. სემინარიაში. 1873 დაითხოვეს როგორც „არაკეთილსაიმედო" პირი. 1873–89 მასწავლებლად მუშაობდა თბილ. სამასწავლებლო ინ-ტში, შემდგომ – სათავადაზნაურო სასწავლებელსა და თბილ. I გიმნაზიაში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი – ხაშურის გიმნაზიაში.

პრესის ფურცლებზე ი. გამოდიოდა „წყალტუბოელის" ფსევდონიმით. რამდენიმე წელი იმუშავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობაში. საზ-ბის დავალებით, ი. ჭყონიასთან ერთად, პირადად ხელმძღვანელობდა ნ. ბარათა-შვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას. ი. მოღვაწეობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში. ბავშვებისათვის დაწერა „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1, თბ., 1953.